

წყაროების მიმოხილვა და დვალეთის ტერიტორიული კუთვნილების საკითხი

მაია ფირჩხაძე

იტალიური სკოლა ცისკარი

გაკვეთილის სათაური - „წყაროების მიმოხილვა და დვალეთის ტერიტორიული კუთვნილების საკითხი“.

კლასი - მეთექვსმეტი.

საგანი - ისტორია.

სასწავლო მიზნები - მოსწავლემ შეძლოს, გააანალიზოს ისტორიული წყაროები, მონიშნოს დვალეთის საზღვრები, იმსჯელოს დვალეთის ისტორიული საზღვრების პოლიტიკური პროცესებით განპირობებულ ცვალებადობაზე. რუკების და 4 წუთიანი ვიდეოფილმის გაანალიზების შემდეგ, შეადაროს და დააკავშიროს ტექსტებში მოცემული ინფორმაცია ვიდეოფილმსა და რუკებზე ასახულ ინფორმაციასთან და გააკეთოს დასკვნა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე დვალეთის საზღვრების ისტორიული კუთვნილების შესახებ (ისტ.X.6.)

მედიაწიგნიერების მიზნები - მედიარესურსების კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

ლექსიკონი: ნარატივი - წერილობითი წყარო.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

ნარატივი - ისტორია, X კლ., შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“; მასწავლებლის მიერ მიერ წყაროების გამოყენებით შედგენილი ტექსტები (ტექსტი 1,2).

ცხრილი - „დვალეთის საზღვრების პრობლემები“ (ცხრილი 1,2,3,4).

რუკა - „ძველი საქართველო, დვალეთი“, <http://www.blogger.ge/post/2018>

„საქართველო 1762 წელს“, <https://ka.wikipedia.org>, ცხინვალის რეგიონი

„თანამედროვე საქართველო“ <http://www.saunje.ge/index.php?id=109&lang=ka>

საქართველოს ისტორიული პროვინციების სიტუაციური რუკა“, <http://svaneti.ru/forum/25-240-1>, 2009

ვიდეოფილმი - „საქართველო, ბოლო ათასი წელი“ (ლინკი მოცემულ დროზე

<https://www.youtube.com/watch?v=Rn3XNGG1igs> 0:31 – 3:49); „Caucasus Map 1450 1515

Georgia Ossetia Armenia“, (ლინკი მოცემულ დროზე

<https://www.youtube.com/watch?v=C1O985AQflo1:12>)

გაკვეთილის დროში გაწერილი მიმდინარეობა:

აქტივობა N1 (5 წთ) - მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს კითხვებით.

(მოსწავლეები გამოცდილებიდან და წინარე ცოდნიდან გამომდინარე გასცემენ პასუხებს)

კითხვები	სავარაუდო პასუხები
ჩამოთვალეთ ძირითადი ისტორიული წყაროები.	ძირითადი ისტორიული წყაროებია ნარატიული, ნივთიერი და ე.წ. აბსტრაქტული წყაროები.
რა პრობლემური საკითხების შესწავლაში გვხვდება ისტორიული წყაროები?	ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული საკითხების შესწავლაში.
პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში რა როლი შეიძლება შეასრულოს ისტორიული წყაროების სწორმა „წაკითხვამ“?	ისტორიულ წყაროები დაგვეხმარება ამ პრობლემების შესწავლაში.

აქტივობა N2 (3 წთ) - მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ნარატიულ ისტორიულ წყაროებზე (ტექსტი 1- „ნარატიული ისტორიული წყაროები“) და სთხოვს, უპასუხონ შეკითხვებს:

ისტორიული წყაროები
ისტორიული წყაროები სხვადასხვა სახისაა, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ისინი, თხრობითი, არქეოლოგიური, რუკა, აუდიო, ვიდეო თუ სხვა სახის წყაროები, მათ შორის უმნიშვნელოვანესია ნარატიული წყაროები, (მასში იგულისხმება ქრონიკები, დოკუმენტები, სამეცნიერო და ლიტერატურული ხასიათის ნაწარმოებები, პუბლიცისტური ნარკვევები, საგაზეთო სტატიები, დღიურები და ა.შ.). ისტორიული წყაროების გამოყენება წარსულის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია, ისინი გვხმარებია წყაროს „ნამდვილობის“ განსაზღვრაში და მასში ისტორიული „სიმართლის დადგენაში“. გამოყენებული ლიტერატურა: ისტორია, X კლ., შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ (ავტორთა ჯგუფი)

მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს:

კითხვა	სავარაოდო პასუხი
ნარატიული წაროები დაგვეხმარება თუ არა სადავო ტერიტორიების კუთვნილების დასადგენად?	წყაროები დაგვეხმარება „ნამდვილი“ და „გამოგონილი“ ტერიტორიული საზღვრების დადგენაში.
ნარატივების გარდა, ტერიტორიული პრობლემების შესასწავლად კიდევ რა ტიპის წყაროების გამოყენება შეიძლება?	ისტორიულ-გეოგრაფიული რუკების და, ზოგადად, საისტორიო წყაროების გამოყენება.

აქტივობა N3 (15 წთ) - მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, გაეცნონ მასწავლებლის მიერ წყაროების გამოყენებით შედგენილ ნარატივებს ისტორიული მხარე დვალეთის შესახებ (ტექსტი 2 და 3), გააანალიზონ ინფორმაცია და შეავსონ ცხრილი „დვალეთის საზღვრების პრობლემები“.

მასწავლებლის მიერ წყაროების გამოყენებით შედგენილი ტექსტი 1: „დვალეები ეთნიკური ოსები არიან, დვალეთი კი სამხრეთ ოსების ტერიტორია და ოსეთის ნაწილია. ის მოიცავდა ახლანდელი სამხრეთ ოსეთის მაღალმთიან ნაწილს კასრიდან ალაგირის მიმართულებით კავკასიონის მთავარ ქედამდე. რაიონს, რომელიც ესაზღვრება თუალგომს ქედის სამხრეთით, ოსები ეძახიან „თეთრი დვალეების“ ხეობას. ის მოიცავს ზემო ლიახვის ხეობას სოფ. ზგუბირიდან ყელის ტბამდე. შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ის მაღრან-დვალეთის სახელით მოიხსენიება. 1859 წელს ისტორიული კუთვნილების მიხედვით დვალეები რუსეთის ხელისუფლებამ ოსეთის სხვა ოლქებთან ერთად თერგის ოლქში გააერთიანა. 1918-1921 წლებში დვალეთის ტერიტორია დროებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 1921 წელს რეგიონი კვლავ რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას დაუბრუნდა. ასე გრძელდება დღემდე“.

გამოყენებული წყაროები: 1.www.080808.su/os/node/53: Официальный сайт аппарата Полномочного представителя Президента РЮО по вопросам постконфликтного урегулирования; **АНАЛИТИКА** - 2010/06/21 - 11:15 („ქართულ წყაროებში დვალეებს ძირითადად უწოდებდნენ სამხრეთის ოსებს. მათ შორის ისეთივე ურთიერთმიმართება არსებობს, როგორიც „მთელსა“ და „ნაწილს“ შორის. ძველი და შუასაუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები დვალეებად მოხსენიებს მდინარეების - ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის აუზსა და კუდაროს ხეობაში კომპაქტურად დასახლებულ სამხრეთის ოსებს. დღეისათვის ისტორიული თუალეთისა (დვალეთი) ტერიტორია (როგორც ჩრდილო ნაწილი, ისე - სამხრეთით მდებარე მხარე) სრულად შევიდა ეთნიკური ოსეთის შემადგენლობაში“); 2.http://www.ossetia.ru/ir/history/yuzhnaya_osetiya.html: Южная Осетия, 23 Октября 2004, 07:33 („დვალეთი მოიცავდა ახლანდელი სამხრეთ ოსეთის მაღალმთიან ნაწილს კასრიდან ალაგირის მიმართულებით კავკასიონის მთავარ ქედამდე. რაიონს, რომელიც ესაზღვრება თუალგომს ქედის სამხრეთით, ოსები ეძახიან „თეთრი დვალეების“ ხეობას. ის მოიცავს ზემო ლიახვის ხეობას სოფ. ზგუბირიდან ყელის ტბამდე. შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ის მაღრან-დვალეთის სახელით მოიხსენიება“); 3. <http://osetins.com/2008/02/09/print:page,1,k-voprosu-o-dvalakh.html> („უძველესი დროიდან არსებობს შეხედულება, რომელშიც შეუძლებელია ექვი შეიტანო, რომ დვალეები ოსები არიან“ К вопросу о Двалах Избранные работы, З.И.Ванеев); 4.<http://saunje.ge/index.php?id=1457&lang=ka> http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/17341/1/Kavkasionta_Etnogenezi.pdf 5.<https://ka.wikipedia.org/wiki/დვალეთი>

მასწავლებლის მიერ წყაროების გამოყენებით შედგენილი ტექსტი 2: „შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიული მხარე დვალეთი მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) ქ^ცბ-ში იხსენიებს დვალეთის ხევებს: კასრის-ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა, თრუსი, მაღრან-დვალეთი. ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის (ძვ. წ. IV – ძვ. წ. III სს.) დროიდან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. VI საუკუნის შუა წლებიდან დვალეთში ქრისტიანობა გავრცელდა და ნიქოზის ეპარქიას დაექვემდებარა. დვალეთზე გადიოდა ამიერკავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი ე.წ. „გზა დვალეთისა“, რომელსაც შემდეგ უწოდეს ოსეთის სამხედრო გზა. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე დვალეთი რუკებზე საქართველოს ტერიტორიაში შედიოდა, შემდეგ კი დვალეთი ჯერ თათარ-მონღოლთა, შემდეგ ცარიზმისა (1859 წ.) და ბოლშევიკური რუსეთის ძალისხმევით (1921 წ.) ოსეთს მიეკუთვნა. დვალეთი საქართველოა!“

გამოყენებული წყაროები: <http://sangu.ge/images/andrander.pdf>, ენდრიუ ანდერსენი, ისტორიის ფალსიფიკაცია პოლიტიკური ავანტიურიზმის სამსახურში; <https://ka.wikipedia.org/wiki/დვალეთი>; <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2007&art=3072>, დვალეთი საქართველოა

მოსწავლეები ეცნონიან ინფორმაციას და ავსებენ ცხრილს „დვალეთის საზღვრების პრობლემები“ (ცხრილი 1).

ცხრილი 1

როგორაა განსაზღვრული წყაროებში დვალეთის ისტორიული საზღვრები? ვისი კუთვნილება იყო დვალეთი?	სავარაუდო პასუხი
წყარო 1. „დვალეები ეთნიკური ოსები არიან, დვალეთი კი სამხრეთ ოსების ტერიტორია და ოსეთის ნაწილია. ის მოიცავდა ახლანდელი სამხრეთ ოსეთის მაღალმთიან ნაწილს კასრიდან ალაგირის მიმართულებით კავკასიონის მთავარ ქედამდე. რაიონს, რომელიც ესაზღვრება თუალგომს ქედის სამხრეთით, ოსები ემახიან „თეთრი დვალეების“ ხეობას. ის მოიცავს ზემო ლიახვის ხეობას სოფ. ზგუბირიდან ყელის ტბამდე. შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ის მაღრან-დვალეთის სახელით მოიხსენიება. 1859 წელს ისტორიული კუთვნილების მიხედვით დვალეები რუსეთის ხელისუფლებამ ოსეთის სხვა ოლქებთან ერთად თერგის ოლქში გააერთიანა. 1918-1921 წლებში დვალეთის ტერიტორია დროებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 1921 წელს რეგიონი კვლავ რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკას დაუბრუნდა. ასე გრძელდება დღემდე“.	დვალეები ოსები არიან. დვალეთი - სამხრეთ ოსეთის მაღალმთიანი ნაწილი კავკასიონის ქედის კალთებზე, იგივეა, რაც შუასაუკუნეების მაღრან-დვალეთი, ისტორიული კუთვნილების მიხედვით, რუსეთის ხელისუფლება ჯერ თერგის ოლქში გააერთიანა ოსეთის სხვა ოლქებთან ერთად, შემდეგ კი რსფსრ-ს შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკას მიაკუთვნა. დვალეთი ოსეთის კუთვნილება იყო და ასე გრძელდება დღემდე.
წყარო 2 - დვალეთი - ისტორიული მხარე შუა საუკუნეების საქართველოში, მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის. ვახუშტი ბაგრატიონს (XVIII ს.) მოხსენიებული აქვს დვალეთის ხევები: კასრის-ხევი, ზრამაგა, ჟღელე, ნარა, ზროგო, ზახა, თრუსი, მაღრან-დვალეთი. ეს ტერიტორია იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის (ძვ. წ. IV – ძვ. წ. III სს.) დროიდან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. VI	დვალეთი საქართველოს ისტორიული მხარეა, კავკასიონის ქედის კალთებზე, რომელიც იბერიის სახელმწიფოს წარმოშობის (ძვ. წ. IV – ძვ. წ. III სს.) დროიდან შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში და შემდეგში ეკლესიურადაც მასთან იყო გაერთიანებული. მოგვიანებით დვალეთი თათარ-მონღოლების, ასევე ცარიზმისა (1859 წ.) და ბოლშევიკური

საუკუნის შუა წლებიდან დვალეთში ქრისტიანობა გავრცელდა და იგი ნიქოზის ეპარქიაში შედიოდა. დვალეთზე გადიოდა ამიერკავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალი გზა - „გზა დვალეთისა“, შემდგომში უწოდეს ოსეთის სამხედრო გზა. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე დვალეთი რუკებზე საქართველოს ტერიტორიაში შედიოდა, შემდეგ კი დვალეთი ჯერ თათარ-მონღოლთა, შემდეგ ცარიზმისა (1859 წ.) და ბოლშევიკური რუსეთის ძალისხმევით (1921 წ.) ოსეთს მიეკუთვნა.	რუსეთის ძალისხმევით (1921 წ.) ოსეთს მიეკუთვნა, რითაც დაირღვა ისტორიული ტრადიცია და დვალეთი, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა, ახლა მის ფარგლებს გარეთაა.
---	---


აქტივობა N4 (10 წთ) - მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, გაეცნონ ისტორიულ რუკებს დვალეთის შესახებ (რუკა 1 - ძველი საქართველო, დვალეთი; რუკა 2 - საქართველო 1762 წელს; რუკა 3 - ისტორიული პროვინციების (კუდარო და დვალეთი) სიტუაციური რუკა), გააანალიზონ ინფორმაცია, დაუკავშირონ ზემომოყვანილ მასალებს და შეავსონ ცხრილი „დვალეთის საზღვრების პრობლემები“ (ცხრილი 2).

მოსწავლეები ეცნობიან რუკებს, აანალიზებენ მასალას და ავსებენ ცხრილს.

ცხრილი 2.

დვალეთის ტერიტორიული კუთვნილება რუკის მიხედვით და შესაბამისობა რუკებსა და განხილულ დოკუმენტებს შორის	სავარაუდო პასუხი
ძველი საქართველო, დვალეთი  http://www.blogger.ge/post/2018	ა) რუკის მიხედვით დვალეთი საქართველოა; ბ) რუკაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება დოკუმენტს N2-ს, სადაც დვალეთი ისტორიული საქართველოს ნაწილია და მისი ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე.

რუკა 1.

საქართველო 1762 წელს  https://ka.wikipedia.org , ცხინვალის რეგიონი რუკა 2.	ა) რუკის მიხედვით დვალეთი საქართველოა; ბ) რუკაში ასახული ინფორმაცია შეესაბამება დოკუმენტს N2-ს, სადაც დვალეთი ისტორიული საქართველოს ნაწილია და მისი ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე.
ისტორიული პროვინციების რუკა (კუდარო და დვალეთი)  http://svaneti.ru/forum/25-240-1 , 2009 რუკა 3.	ა) რუკის მიხედვით დვალეთი საქართველოა; ბ) რუკაში ასახული ინფორმაცია შეესაბამება დოკუმენტს N2-ს, სადაც დვალეთი, კავკასიონის სამხრეთ კალთაზე მდებარე ისტორიული მხარე, საქართველოს ნაწილია და მის ერთ-ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს წარმოადგენს.
თანამედროვე საქართველო  http://www.saunje.ge/index.php?id=109&lang=ka რუკა 4.	ა) რუკის მიხედვით დვალეთი თანამედროვე საქართველოს შემადგენლობაში არ შედის. ბ) რუკაში ასახული ინფორმაცია შეესაბამება დოკუმენტს N 1-ს, სადაც დვალეთი ასახულია, როგორც ტერიტორია, რომელიც არ ეკუთვნის ისტორიულ საქართველოს.

აქტივობა N5 (5 წთ) – მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მცირე დოკუმენტური ვიდეოფილმის ნახვას დვალეთის საზღვრების შესახებ -ფილმი1 - „საქართველო, ბოლო ათასი წელი“ (ლინკი მოცემულ დროზე <https://www.youtube.com/watch?v=Rn3XNGG1igs> 0:31 – 3:49, ფილმში აღწერილია საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები ბოლო ათასი წლის განმავლობაში, სადაც ცხადად ჩანს დვალეთი, როგორც საქართველოს ისტორიული ტერიტორია, რომელიც ჩამოეჭრა გარეშე ძალების მიერ) და ფილმი 2 - „Caucasus Map 1450 1515 Georgia Ossetia Armenia“ (ლინკი მოცემულ დროზე <https://www.youtube.com/watch?v=C1O985Aqflo> 1:12, ფილმში გამოიკვეთება დვალეთი და ყველა ის ტერიტორია, რომელიც ჩამოეჭრა საქართველოს ისტორიული მხელბედობის და გარეშე მტრის ძალდატანების გამო), ინფორმაციის გაანალიზებას და ცხრილის შევსებას „დვალეთის საზღვრების პრობლემები“ (ცხრილი 3).

მოსწავლეები უყურებენ მცირე ვიდეოფილმებს, აანალიზებენ ინფორმაციას და ავსებენ ცხრილს „დვალეთის საზღვრების პრობლემები“ (ცხრილი 3).

ცხრილი 3.

რა დასკვნის საშუალებას გვაძლევს ვიდეოფილმები დვალეთის ტერიტორიული კუთვნილების შესახებ?	სავარაუდო პასუხი
https://www.youtube.com/watch?v=Rn3XNGG1igs („ საქართველო - ბოლო ათასი წელი“)	ფილმში ჩანს საქართველოს ტერიტორიული ცვლილებები ბოლო ათასი წლის განმავლობაში, მათ შორის, დვალეთის საზღვრების ცვლილება და ამ ტერიტორიას გარეშე ძალების ზემოქმედებით როგორ კარგავს საქართველო.
https://www.youtube.com/watch?v=C1O985Aqflo („Caucasus Map 1450 1515 Georgia Ossetia Armenia“)	გამოკვეთილია, თუ როგორ ჩამოეჭრა დვალეთი საქართველოს ისტორიული მხელბედობის და გარეშე მტრის ძალდატანების გამო.

აქტივობა N6 (5 წთ) - მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, შეადარონ ნარატიული წყაროებიდან, რუკებიდან და ვიდეოფილმებიდან მიღებული მასალა ერთმანეთს, იმსჯელონ საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობაზე და შეავსონ ცხრილი „დვალეთის საზღვრების პრობლემები“ (ცხრილი 4) . მოსწავლეები ადარებენ ინფორმაციას, მსჯელობენ და ავსებენ ცხილს „დვალეთის საზღვრების პრობლემები“ (ცხრილი 4):

ცხრილი 4.

რა ფაქტორებმა განაპირობა დვალეთის ტერიტორიული ცვლილებები, რომელიც აისახა ნარატივში, რუკაზე და ვიდეოფილმში?	პოლიტიკურმა პრცესებმა, გარეშე მტრის თავდასხმებმა.
რამდენად შეესაბამება დვალეთის თანამედროვე ტერიტორიული საზღვრები მის ისტორიულ ტერიტორიას?	არ შეესაბამება, რადგან დღეს დვალეთი საქართველოს ნაწილი არაა.
რამდენად დაგვეხმარა ისტორიული წყაროები პოლიტიკური საზღვრების კუთვნილების დადგენაში?	დაგვეხმარა, მოგვცა ინფორმაცია დვალეთის ისტორიული ტერიტორიული სინამდვილის დასადგენად.

შეფასების ინსტრუმენტები (2 წთ): კრიტერიუმები:

1. მოსწავლემ სწორად **მონიშნა** დვალეთის საზღვრების ცვლილებები;
2. მოსწავლემ **შეადარა** ნარატიული წყაროები რუკებსა და ფილმში ნანახ მასალას (ნამდვილი და გამონაგონი);
3. მოსწავლემ **იმსჯელა** პოლიტიკურ პროცესებზე;
4. მოსწავლემ **დააკავშირა** ინფორმაციები ერთმანეთთან;
5. მოსწავლემ **გაანალიზა** საინფორაციო წყაროების მონაცემები დვალეთის საქართველოსთვის კუთვნილების შესახებ;
6. მოსწავლემ **გააკეთა** სწორი დასკვნა.

მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი

#	კრიტერიუმები	კი	არა	შენიშვნა
1	სწორად მოვნიშნე დვალეთის საზღვრების ცვლილებები?			
2	ნარატიული წყაროების, რუკებისა და ფილმში ნანახი მასალის შედარება დამეხმარა, გამერჩია ნამდვილი და გამონაგონი?			

3	გავანალიზე საინფორმაციო წყაროების მონაცემები დვალეთის საქართველოსთვის კუთვნილების შესახებ?			
4	გავაკეთე დასკვნა (არგუმენტებად მოვიყვანე სანდო წყაროები, ვიმსჯელე პოლიტიკურ პროცესებზე, დავაკავშირე ინფორმაცია ერთმანეთთან და ა.შ.)?			

გამოყენებული მულტიმედია რესურსები:

- ა) <https://www.youtube.com/watch?v=Rn3XNGG1igs> (ლინკი მოცემულ დროზე
ბ) <https://www.youtube.com/watch?v=Rn3XNGG1igs> 0:31 – 3:49);
გ) <https://www.youtube.com/watch?v=C1O985AQflo> 0:25 – 0:40
დ) <http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2007&art=3072>, ქართული პრესის
ელექტრონული არქივი, საქართველოს რესპუბლიკა, 2007-05-04, დვალეთი
საქართველოა!
ე) <http://sangu.ge/images/andrander.pdf>, ენდრიუ ანდერსენი, ისტორიის ფალსიფიკაცია
პოლიტიკური ავანტიურიზმის სამსახურში;
ვ) ისტორია, X კლ. , შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა - ქართული
ბიოგრაფიული ცენტრი“ (ავტორთა ჯგუფი).

შენიშვნები - საკითხის უფრო საფუძვლიანად შესწავლისთვის სასურველია,
მოსწავლეებს მიეცეთ დავალება, გაეცნონ მხარის არქეტოპონიმიკას.